№ 56
სამშაბათი, 15 მარტი 1894

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

იმერეთი

№ 56
სამშაბათი, 15 მარტი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარავასტა.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ᲕᲚᲔᲓᲔᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲣᲚᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ და **ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲘ ᲫᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ** აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ძმისა თვისისასა **ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲝᲢᲔᲜᲘᲙᲘᲡ ᲕᲘᲪᲘᲡ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲒᲣᲚᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲡ**, სთხოვენ მობრძანდნენ ტალახის ქუჩაზედ, საკუთარს სახლიდგან, № 40 ოთხშაბათს 16 ამ თვეს $9^1/_2$ საათზედ.

პანაშვიდი გარდახდილ იქნება 12 საათზედ დილით და 7 საათზედ საღამოთი. (1—1)

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲗᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ

აცნობებს ბბ. წევრთ ამა საზოგადოებისას, რომ კვირას 20 მარტს, დილის 10 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

საერთო კრება

რომელზედაც განსასჯელია და დასამტკიცებელი:

1) გამგეობის ანგარიში 1893 წ.
2) ხარჯთ-აღრიცხვა 1894 წ. და
3) ამორჩევა გამგეობის თავმჯდომარისა, ორის სარევიზიო კომისიის წევრისა და ორის მათის კანდიდატისა, იმათ სამაგიეროდ, რომელნიც თავს ანებებენ სამსახურს, რადგან ვადა შეუსრულდათ; გამგეობის თავმჯდომარის ა. ს. მატინოვისა, სარევიზიო კომისის წევრთა ა. ფ. ფრიდონოვისა, ა. მ. თამამშოვისა და მათ კანდიდატის ა. ს. წურინოვისა და ორის გამგეობის წევრთა კანდიდატისა, სამაგიეროდ ი. ს. ხანქალამოვისა და ბ. ი. ალიბეგოვისა, რომელთაც წილის ყრით თავი დაანებეს სამსახურს. (1—1)

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲚᲝᲢᲢᲘ

(გერმანულიდამ)

თუ ბავშვები არ გიყვარს, გეტყობა სრულებით ვერ გიცვნია და აზრიც გატყუებს მათ შესახებ.

აი, თუ გინდა, მაგალითად, მოვიყვან პატარა ლოტტის; მშვენიერი ბავშვია, მშვენიერი დახუჭუჭებული თმები ბეჭებზედა სცემს და ლამაზი შავი თვალები აქვს; დიდის და განსაკუთრებულის ნიჭით მსწრაფლ მიაგნებდა ხოლმე შენახულს თავის საყვარელ ხილსა და ტკბილეულობას; თუ გაუჯავრდებოდნენ და არ დანებებდნენ, მაშინვე გაიბუტბოდა—და, ვითომ სტრინოო, ისეთს სახეს მიიღებდა ხოლმე.

იქნება სთქვათ ამაზედ. ოჰ, რა ცელქი და ცუდის ზნის ბავშვი, ყოფილაო?"

არა, ცუდი ზნისა-კი არა, ბავშვს სწორედ ბავშობა უნდა ეტყობოდეს. ღმერთმაც ისე დაიწესა, რომ ბავშვი თავის დროზედ ცელქიც უნდა იყოს, თავის დროზე ხილისა და ტკბილეულის მუსუსიც. მასთან ყოველისავე გამოკითხვა უნდა უყვარდეს.

ლოტტიც სწორედ ამნაირი ბავშვი იყო. ძლიერ უყვარდა გამოკითხვა; ასეთი გამოკითხვა და გამოჩხრეკა იმისათვის განსაკუთრებული სიამოვნება იყო. ყველაფრის ცოდნა და გაგება უნდოდა, პასუხსაც-კი ალარ უცდიდა და ბეჭერივით მოგაყრიდათ კითხვას კითხვაზედ. გეკითხებოდათ ყოველსავე, რაც-კი ჭკუაში მოუვიდოდა. ასეთის გონიერის და საყვარელის ბავშვის ტიტინის მოსმენა მეტად სასიამოვნო იყო. მაგრამ არც იმდენადად გამბედავი იყო, რომ ელვა-ქუხილის დროს მარტო დარჩენილიყო ოთახში და არ შეჰშინებოდა.

საღილს შემდეგ დედა სტუმრად წავიდა და ალარც მოსამსახურე დედა-კაცი იყო ოთახში. ამასობაში ატყდა საშინელი ელვა-ქუხილი.

ლოტტის ძლიერ შეჰშინებოდა, მაგრამ ვაშლი მანც მაგრად ეჭირა ხელში და თავი არ დაენებებინა. ამ ნაირად ჩუმ-ჩუმად მიიპარებოდა თავის მამის კაბინეტში.

ის იყო მამა მისი მისჯდომოდა სტოლს და სწერდა წერილს, რომლითაც ესალმებოდა სიცოცხლეს. ლოტტის მამა ყმაწვილი კაცი იყო ძლიერ შეეწუხებინა საბრალონი. მლეთსა და კოხს შუა დიდი თოვლია. ქარი დაწყნარდა, დილით და საღამოთი თოვს. ყინვა 5 გრადუსამდეა.

*** წყალის გამგებელნი მამასახლისები (მირაბები) და სხვა მოხელენი, რომელნიც ამორჩეულნი იყვნენ ამას წინად ტფილისის მაზრაში, ამ თვის 18 მოწვეულნი არიან ტფილისის სამაზრო კანცელარიაში, რომ ფიცი მიიღონ.

** დიდმის საზოგადოებისაგან ამორჩეული მირაბი რ. მამუჩაშვილი გუბერნატორის თანამდებობის აღმსრულებელმა, გრაფმა ტიზენ ჰაუზენმა, არ დაამტკიცა, რის გამოც ახალი არჩევანია დანიშნული დიდმის განყოფილების მირაბის ასარჩევად, რომელიც უნდა მოხდეს ტფილისის სამაზრო კანცელარიაში ოთხშაბათს, 16 მარტს.

** სახაზინო პალატის განკარგულებით დაიწყეს კიდეც სხვა-და-სხვა სავაჭრო დაწესებულებათა რევიზია, რომ შეიტყონ ნამდვილი ანგარიში შემოსავალ-გასავლისა. ამასთანავე თუ აღმოჩნდა, რომ ვინმე ვაჭართაგანი იმ საბუთებით არ ვაჭრობს, რომელიც მისის ვაჭრობისათვის დაწესებულია კანონით, დამნაშავეს ერთი სამად გადახდება ჯარიმა. დღემდე პირველი, მეორე და მესამე ნაწილი ქალაქისა აქვთ დავლილი პალატის მოხელეებს.

*** ამ ჟამად სახაზინო პალატის ბრძანებით ჭკუფენ ცნობებს იმის შესახებ, რამდენი სახლია დაგირავებული ქალაქის ყველა საკრედიტო დაწესებულებაში.

*** ამ მოკლე ხანში მოელიან ტფილისში პროფესორს ეკკერტს, რომელმაც უნდა სცადოს პირუტყვებზედ საქონლის ჭირის აცრა.

*** პეტერბურგიდგან ამბავი მოვიდა, რომ ტფილისის და კავკავის შეერთება რკინის გზით მთავრობამ შეუძლებლად დაინახა, რადგანაც ჯერ არა აქვს საკმაო ფული კავკავის მთებზედ რკინის გზის გასაყვანად. ამასთანავე კავკავის რკინის გზის მმართველობის თხოვნისამებრ, მთავრობამ ნება დართო ამ ზაფხულს გზა გამოიკვლიონ პეტროვსკსა და ბაქოს შუა.

*** ტფილისის კერძო გამსესხებელი კასსები როგორც ჩვენ შევიტყეთ, ამ ზაფხულს სულ დაიკეტება, რადგანაც მათ დაარღვიეს ამ კასსების შესახებ დაწესებული ახალი კანონები.

*** რადგანაც ახალციხის მაზრაში და მთებში დიდი თოვლი ძევს და ყოველ დღე მტკვარს ემატება წყალი, ბ-ნმა პოლიციმეისტერმა გუშინ ბრძანება გასცა პოლიციის ბოქაულებს, ყოველ დღე შემატყობინეთ მტკვრის ადიდების შესახებ ამბავიო.

*** მომღერალი ქალი პაპაიანი ამ თვის 29-ს სახელმწიფო თეატრში კონცერტსა ჰმართავს. კონცერტის შემდეგ ქ-ნი პაპაიანი პარიზში გაემგზავრება.

*** სოფ. მედვრეგისი (გორის მაზრა): დადგა მარტი და თან მოჰყვა განუწყვეტელი წვიმები, რის გამოც ეს ათი დღეა მზე არ დაგვნახავს თვალით. ათს ამ თვეს მოხდა აქ ერთი შემაძრწუნებელი ამბავი: გლეხს ალექსი მოსიაშვილს შუალამისას დაენგრა ავდრის გამო გომური, რომელმაც იმსხვერპლა ერთი წლინახევრის ვაჟიშვილი, მხოლოდ ორი ვაჟიშვილი მისივე ერთი 12 წლისა, მეორე 20 წლისა და მესამეც ძმისწული 23 წლისა, დიდის მეცადინეობის შემდეგ ცოცხალ-მკვდრები ამოიყვანეს მიწის ქვეშ მომწყვდეულნი, რომელთაც თვლები და სახე მთლად დასვიებული აქვთ.

** სოფ. ბარალეთი (ჯავახეთი): თუ რა მნიშვნელობა აქვს სოფლისთვის რამდენსამე მხნე და ფხიზელ კაცს, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ბარალეთში შარშან ორ კლასიან სკოლისთვის მშვენიერი სასახლე დასრულეს, სადაც ეხლა 200 მეტი შეგირდი სწავლობს და ახლა განზრახვა აქვთ ამ ცოტა ხანში სახალხო უფასო წიგნთ-საკითხი და წიგნთ-საცავი დაარსონ სოფ. ბარალეთში. ამ ფრიად შესანიშნავ და საასარგებლო საქმეში ბევრმა შეგნებულმა კაცმა აღუთქვა თავისი დახმარება და, იმედია, მალე განხორციელდება ეს სამაგალითო საქმე მთელ ჯავახეთისათვის.

** ზუგდიდი: „ივერიის" 39 ნომერში წავიკითხე ზუგდიდიდამ მოსული ბ-ნ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი ამბავი: ვითომ აქ ისეთი ცეცხლი ყოფილა, რომ თორმეტამდე დუქანი გადამწვარა და ზარალი 25,000 მანეთამდეა.

მართალია, აქ იყო ცეცხლი, მაგრამ სულ 3—4 დაიწვა და ზარალიც სულ რომ დიდი ვსთქვათ—2000 მანეთს არ აღემატება.

*** კოჯორი: ამ თვის 7-ს აქ შემდეგი უბედურება მოხდა: ორი მუშა, სახლის მხურავები, რომელნიც ტერმიკირტიჩინაცის სახლზედ მუშაობდნენ, მოსხლტილან ხუთის საფენის სიმაღლიდგან და ძირს ჩამოვარდნილან. ერთი მათგანი გულით დავარდნილა დედამიწაზედ და იქვე მომკვდარა, მეორე-კი ფეხდგომილა დაცემულა, რის გამოც მარცხენა ფეხი წვივში გადასტეხია და თქმაც ამოვარდნია. მიცვალებული იქვე დაუსაფლავებიათ და ცოცხალ-მკვდარი მეორე დამსხვრეული მუშა ქალაქს ჩამოუყვანიათ საავადმყოფოში საეჭიმოდ, მაგრამ საეჭვოა მისი გადარჩენა.

*** ახალქალაქი (ჯავახეთი): კერძოდ შევიტყეთ, რომ ტფილისში ზარად აქვთ დაეარსონ ამხანაგობა იაფის წიგნების ბეჭდვისა ქართულად. აზრი საზოგადოებისა ის არის თურმე, რომ, რაც შეიძლება ბლომად გაავრცელონ ხალხში ჩვენის მწერლების საუკეთესო ნაწერები იაფ ფასად.

ამხანაგობის წევრმა წელიწადში მხოლოდ ერთი მანეთი უნდა შემოიტანოსო. ამ ფრიად დიდ-მნიშვნელოვანმა აზრმა ისეთს აღტაცებაში მოგვიყვანა ახალქალაქის პატარა ქართველების წრე, რომ იმავ საათში ხუთმეტ მანეთამდე შევკრიბეთ და თითქმის ყველა იმ აზრს დავადექით, რომ წელიწადში ერთი მანეთი ყველამ შეგროროთ ხოლმე ამ კეთილს და საშვილიშვილო საქმეს და არც არაფერს მოვითხოვთ ამის სამაგიეროდ, ოღონდ საქმის სათავეში მნე, გამოცდილი და საქმისათვის გულშემატკივარი კაცი იდგეს. ღმერთსა ვსთხოვთ გაეამარჯვოს ამ დიდ მნიშვნელოვანს აზრს.

*** სოფ. ბადდადი (ქუთაისის მაზრა): აქეთ ხშირად მოხდება ხოლმე ქურდობა, ავაზაკობა და სხვა ბოროტ-მოქმედება, მაგრამ, როცა ავაზაკობასა და ქურდობას აღმოაჩენენ, ისინი სცდილობენ და მალე მოურიგდებიან ხოლმე ასე თუ ისე დაზარალებულთ. ეს არის მიზეზი, რომ, ჯერ ერთი ავაზაკობის ჩამდენნი არა ცხადდებიან და მეორე—ამისთანა მაგალითების გამო ავ-კაცობა-კი არა კლებულობს, უფრო მატულობს: რა გვიშავს, დანაშაულს ჩავიდენთ; თუ შეგვიტყეს მოვურიგდებით დაზარალებულს, სასჯელს ავიცილებთ თავიდამ და თუ ვერ შეგვიტყეს, ქე შეგვრჩება ნაქურდალ-ნაძარცვი.

25 თებერვალს შეუცვივდნენ ასეთი თავზედ ხელ-აღებულნი, ბაღდადის სამამასახლისოს მცხოვრენი, გლეხის ბესარიონ წიწილაძის ცოლს სახლში, როცა ქმარი შინ არა ჰყავდა და უნდოდათ ცოლი გაეტაცათ. დედაკაცის კივილი შეიტყეს მეზობლებმა და ამ გარემოების ბოლოს ეს ამბავი ბოლოს ეს ამბავი ბოლოს ეს ამბავ

*** სოფ. სამშვილდე (ტფილისის მაზრა): სოფ. პატარა-დმანისში ამ თვის 5-ს რიცხვს ქელეხი იყო გამართული ერთის ადგილობრივის გლეხის სახლობაში. ჩვენს სოფლიდამაც იყვნენ მიწვეულნი და სოფ. იფნარიდამაც. დამსწრეთ ვვარიანად გადაუკრავთ ნუნუა და იქიდგან დაბრუნებულთ სოფელებს გამო კასარსკის და იფნარელს ფიდო ტიბილაშვილს რაღაცაზედ ლაპარაკი მოსვლიათ, მერე შებმიან ერთმანეთს და ბოლოს იმით გაუთავებიათ, რომ კასარსკის ტიბილაშვილისათვის ხანჯალი უცემია, დაუჭრია იგი მარცხენა ხელში და მარცხენა ყურიც ჩაუფლია. ეხლა, რასაკვირველია, საქმე წარმოებაში წასულა და ეს ქეიფი ძვირად დაუჯდებათ ამ ვაჟბატონებს.

*** გაზ. „Русская Жизнь“-ის სტატყვით, მინისტრთა კომიტეტი ჩქარა მეუდგება სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მიერ წარდგენილის აზრის განხილვას იმის შესახებ, რომ ამერიკელს ვაზზედ არავითარი ბაჟი არ დაიდოს და უბაჟოდ შეეძლოთ მისი შემოტანა იმ მემამულეებს, რომელნიც მოისურვებენ ამ ვაზის გამოწერას სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დაწესებულებათა შემწეობით.

*** 11 მარტს, ელისაბედის ქუჩაზე ჩითახოვის სახლის დერეფანში ორის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი იპოვნეს და საეპნო ინსტიტუტში გაგზავნეს.

*** 12 მარტს პაპოვის წისქვილთან მტკვარმა ვიღაც დამრჩალის კაცის გვამი გამორიყა. დამრჩვალი 50 წლისა იქნება.

*** ამავე დღეს ბარბარე სერგებრიაკოვისამ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ფეოფანინის ქუჩაზე სტოლოდამ 28 მან. მომპარესო. ფული მოვნახე და ჩემს მოსამსახურეს, კარდენაის მეზობლებს ივანე ჩალტაშვილს ვუთხარეს საბანში შენახულიო, ჩალტაშვილი შეიპყრეს.

*** სოფ. მიიდოსტის მეზობლებელმა დარიპან მელაძემ და ეროვნის მეზობლებელმა მაშადი უმბატ-ოღლიმ და ჰუსეინ იბრაჰიმ-ოღლიმ პოლიციაში გამოაცხადეს, რომ 10 მარტს ტფილისის რკინის გზის სადგურიდამ მოვდიოდით, გზაში სამი უცნობი კაცი დაგვიხდა და ყველას 125 მან. წაგვართვეს: ერთი დამნაშავე ალეკანი ნახარაფი შეიპყრეს, რომელმაც დანაშაულიც აღიარა იმის ამბავნაგებს ისაკ მურზაშვილსა, ანტონ თომაევსა და იაგორ თუმანიანს დაეტბენ.

მთავრობის განკარგულებანი

—

ამს წინად საკრო განათლებას მინისტრმა კვლავ განუმარა უმაღლესს და სამუდამო სასწავლებლებს წესი მოდინელ სტუდენტებისა და მოსწავლეების შეფლინოსა და დასაკეთო გუბერნიებში დათხოვნისა. ამ წესით, სამზადაფ-ულად ფიოს ნაბოლოვნის ქალაქდგან პარდანპარ უნდა იყოს ალნიშნული ის დანა ანუ ქალაქი, სადაც მიდის დათხოვნილი, სოდო მარტო გუბერნიის აღნიშნა-კი აღარ-ძალულია. თუ ასე წესი

რი. შემდეგ კიდევ ჰკითხა:

— მამა, ლოდის ალის ფუფალას დაბადების დღე? მე ლამეებს შევპილდი, თუ აღალ დაბლოხუნებს.

მამა Ლწერდა და სწერდა სიცოცხლის გამოსალმების მიზეზებსა. შვილი-კი გვერდით იდგა და განუწყვეტლივ ეტიკეტებდა:

— მამა, ფუფალასაც ხომ ჰყავს შვილები? ლა კალგ სათამაშოებს აკეთებს. უჰ, ლამდენი ლამ ეძენება ფუფალას. ალა, მამა? მითხარი, მამილო, სადა დგას ყალყატი? დედას ლომ ვკითხე, ასე მითხლა: შენ მოგიყვანა თუ ალა, მაშინვე გაფლინდა შოლს, სულ შოლსო... ნეტავი კი მაჩვენა დაა... ვიღლიმ მითხლა, ენახეო, მაგლამ ალ ვიცი შენი ყალყატი იყო თუ ალაო.

ბოლოს ვაშლის ჭამა მოაგონდა, მაგრამ რა-კი დედისაგან ჰქონდა დაშლილი გაუთლელის ვაშლის ჭამა, მან დაუჭირა ხელი მამას და უთხრა.

— გამითალე, მამა, ვაშლი.

მამა მსწრაფლ, მობრუნდა, უნდოდა გაჯავრებოდა შვილს, მაგრამ შეჰნიშნა, რომ ისეთის უმანკოსა და ვედრების თვალებით შესცქეროდა, რომ გაჯავრება სულ დაავიწყდა, ამოიღო ჯიბის დანა და დაუწყო ვაშლს თლა. ლოტტი გულ-მოდგინედ შესცქეროდა.

— მამა, ლათ აქეს ვაშლს ქელქი? ფუფალამ ხომ ეგლე გაჩინა და ლატომ მაგლე ალა ვჭამთ? ლალთ უნდა ქელქი? იმიტომ ლომ ალ გაიყინოს ვაშლი?

— რასაკვირველია, იმიტომ, რომ ზამთარში ძლიერ ცივა, უთხრა მამამ და მისცა გათლილი ვაშლი.

ის იყო უნდა ჩაეკბიჩა, მაგრამ მოაგონდა და ჰკითხა:

— განა შენ-კი ალ გინდა?

მამამ ვეღარ გაუძლო, გული დაეწვა, დაისვა მუხლებზე ბავშვი, ჩაიკრა გულში და დაუკოცნა სახე.

ძლივს ეშველა და მოუვიდა ცრემლები.

ბავშს ეგონა მამას ქუხილისა შეეშინდაო და თითონაც დაიწყო ტირილი შიშით.

— უჰ! ლა მეშინია, ლა მეშინია—ბუტბუტებდა—შენც შეჰპოლდი, მამა ლამეს, ლომ დაჩუმდეს.

— აბა, მითხარი, ლოტტი, რას დავპირდე ფუფალას?

ამ დროს ლოტტის მოაგონდა, რასაც თითონ დაჰპირდებოდა ხოლმე დედ-მამას, რომ აღარ გაჯავრებოდნენ.

— ასე უთხალი, პატიოსანი და კალგი ვიქნები-თქო.

ეს სიტყვები გულს მოხვდა ყმაწვილს კაცს და საშინლად გოცდა. „პატიოსანიო, კარგიო“?!. თავის მოკვლა, ცოლ-შვილის მიტოვება,—განა ეს პატიოსნებაა? ჰფიქრობდა თავისთავად, ხოლო შვილს-კი არა უპასუხარა.

— ალაფელი ალ უთხალი ფუფალას? ჰკითხა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ლოტტიმ. ამ დროს გაიელვა საშინლად.

— ლა ალის, მამა, უთხალი მალე, ეხვეწებოდა ბავშვი და; თან შიში უფრო უძლიერდებოდა. დაიწყო ლოცვა, რომელიც-კი მოაგონდა...

„მამა“! გულის სიღრმიდამ მოესმა ყმაწვილს კაცს ხმა. „შენ ხარ მამა—მამა ამ ბავშვისა, რომელიც ესე გულ დანდობით ჩაგკერია გულში, ელის შენგან ხსნასა და შველას. და შენ... შენ კი გინდა მოშორდე, დაიობლო და დასტოვო ღვთის ანაბარად... რაც უნდა უბედურება ეწიოს, ვეღარას უშველი. შენი თვალები ცრემლებს დაინახავს... როგორ, მაშინ სჯობია, რომ თვალით ვხედავდე, როგორ აღიზრდება სიღარიბესა და გაჭირვებაში?!. ხელ ახლა მოჭკიდა ხელი კალამს.

— ჩემი დედა ლომ იყოს ეხლა აქ, ოჰ, ლა კალგი იქნება, წარმოსთქვა ბავშვმა ამოხვრით.—მამა, დედა ლომ ეხლა აქ იყოს, ხომ აღალ შეგეშინდება?

— რასაკვირველია აღარ შემეშინდება, გულის კვნესით წარმოსთქვა ყმაწვილმა კაცმა. ან რიღასი შეეშინდებოდა, ეხლა რომ გვერდით თავისი საყვარელი, ერთგული ცოლი ჰყავდეს.

ისევ დაიწყო ელვა და ქუხილი. ბავშვმა ეხლა სხვა ლოცვა სთქვა და დაუმატა:

— ეხლა მაინც დანაბეე თავი, ფუფალა, ცოდო ვალთ მე და მამა. სთქვა ესა და უფრო მიეკრა მამას გულზე. მამა თავის ფიქრებში იყო გართული.

კიდევ ილოცა: „მშობლების სასიხარულოდ კეთილ-გონიერი მამყოფეო“.

— ნუ თუ ბედნიერებისათვის მეტი არაფერია საჭირო? მოყვარული მშობლები, კეთილ-გონიერი ბავშვი... ეს არის? ეს არის ბედნიერება?

ამ დროს გულიდამ რაღაც იდუმალი ხმა აძლევდა პასუხს: «დიდე, ბედნიერებაა, ბედნიერებაა».

„ქვეყანა“?! მოესმა ჯერ კიდევ დაუსრულებელ წერილიდამ „სიმდიდრის დაკარგვა? სიღარიბე? უმბისოდ

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

რაᲜᲗᲐ. 10 მარტი. რაქველი კაცი, საზოგადოდ, მამულის შენების მიმდევარია, რადგანაც ჩვენში სახნავ-სათესი მიწები, ხალხის სიმრავლის გამო, ძვირად ფასობენ, ამიტომაც მამულის შეძენისათვის რაქველი ყოველ ღონისძიებას ხმარობს. ათსა და თხუთმეტის წლის ოჯახ მოშორებული რაქველი მოდის შინ და, თუ რამ ამ ხანებში თავის შრომისა და ტანჯვის წყალობით უშოვნია, სცდილობს, ცოტად თუ ბევრად, გააფართოოს თავის მცირე დედულ-მამული, ამ ნაირი სურვილი ბევრს მათგანს ვალსა და ვახშმიდაც აგდებს და, შეძენის მაგვრად, კიდეც ჰღებავს, აი მაგალითი:

ქვემო რაჭაშია ერთი მთა, რომელსაც «საიაშვილო», ეწოდება, სიერციით ეს მთა, როგორც სნანს მიწის მხრმლის პლანიდგან, 3000 დესეტინაზედ მეტია; ეს მთა ეკუთვნოდა თთ. იაშვილებს, რომელნიც შორაპნის მაზრაში სცხოვრობენ. პატრონები, სიშორისა გამო, მამულს ვერ გაუძღვენენ; როგორც რიგი იყო, ისე ვერ მოუფარეს და ზოგიერთნა მათგანმა განიზრახეს თავიდგან მოეშორებინათ ეს ბუნებით მდიდრად შემკული ადგილი. „Русская Жизнь“-ის ცნობით, ეს ადგილი ბოლო ოცი წლის განმავლობაში ორჯერ ეყიდა ერთ ადგილობრივ ბატონს, ბ-ნ ალექსანდრ ალექსეევიჩ ბ-ს, ორ ასი ოცდა ორ ათასად. ეს ბ-ნ ალექსეევიჩ ბ-ს ეს ადგილი ეყიდა

ბოდათ და ჩალხი უკუღმა არ დატრიალებულიყო. მოვიდა სიგელის გაკეთების დროც, გლეხებმა შეჰკრიბეს ფული ამ საქმისათვის და ჩაუყარეს ხელში ისეკ იმ გაიძვერებს, რათა ეშუამდგომლნათ, საცა ჯერ იყო, და რიგიანი და ჯეროვანი საბუთი გაეკეთებინათ გლეხებისათვის. რწმუნებითის ბარათებით აღჭურვილნი გაიძვერანი შეუბრალებლად ჰყვლეფდნენ გლეხებს ყოველ წასვლაზედ ქუთაისს; თავის საქმისათვისაც რომ წასულიყვნენ, სოფლებში ჩამო

ლიდნენ, ჩასძახოდნენ გლეხებს: „ოქვენს „კუპჩის“ მოსატანად მიდევართ და ხარჯი გვინდაო“. ამნაირად ჰკრნფდნენ ხალხში თითოოროლა აბაზობით მთელ წლი-ნახევრის განმავლობაში და ბოლოს, როგორც იყო, გლეხებმა საბუთიც იგდეს ხელში და მთაც ჩაიბარეს. ეს იყო, ვგონებ, 1886 წ. და მთი უბედურებაც აქედგან იწყება. იმ პატრონთ, რომელთაც გაუყიდელი დარჩათ მთა, ცხადად იგრძნეს, რომ თუ ამოდენა ხალხი მთაში თავისუფლად შევიდა, მალე გაანადგურებენ —და ჩვენს ტყეს დიდი ზარალი მოუვაო; ამიტომ სთხოვეს სასამართლოს, მამული გაყოფილიყო მონაწილეთა შორის; სასამართლომ ორის წლის ვადა მისცა ნება-ყოფლობით გაყოფისათვის; ეს ორი წელიწადიც გავიდა და მთა ვერ გაიყო; შემდეგ ამისა იმავე მონაწილეებმა ითხოვეს, რომ მთას მზრუნველობა დაუწესეთ და აღკრძალეთ ყველასთვის მთიდგან სარგებლობა კანონიერ გაყოფამდეო. ეს თხოვნაც შეიწყნარა სასამართლომ, მთა შეჰკრეს და ზედ დააყენეს მზრუნველი დასაცავად. დარჩნენ გლეხები ცარიელნი. მერე რა მდგომარეობაში? ყველა სოფლები, გარდა პირველის ოთხისა, შიგ იმ მთის ძირში არის გაშენებული და ბაზასადმე დამოკიდებულნიც დიდად არიან იმ მთაზედ. თუ იქიდგან არა, შეშაკ ძვირი საშოვარი აქვთ და საშენებელი მასალაც. თუ ვინმემ მყოფელსთავანმა გაბედედა ტყეში შესვლა და გამოიტანა რამე, იმას მზრუნველი ოქმს უყენებს და ერთი ორად ახდევინებს; თუ არა და არიან გულხელ დაკრეფილნი და ერთმანეთს ეშესჩივიან თავიანთ უბედურებას. ამასობაში ნავალევი ფულიც ერთი ათად გადიქცა. მოადგათ გლეხებს აღმსრულებელნი ფურცელნი და ერთიანად აკლებენ საწყლებს, ეს რვა-ცხრა წელიწადი ამ ნაირ მდგომარეობაში არის 700—800 კომლი გლეხი რაჭის მაზრისა. თითო ოჯახზედ რომ ბუთ-ხუთი სული ვიანგარიშოთ, 3500—4000 სული მაინც იქნება ამ ადგილ სოფლებში *) და ამოდენა ხალხი ისე უპატრონოდ იტანჯება, რომ კაცი არ გასჩენიათ, რაიმე ღონის-ძიებით უშველოს. ერთი მზრუნველთაგანი თ. წ—ძე ძრიელ მოწადინებული იყო, რომ მთა გაყოფილიყო, მაგრამ ხელი შეუშალეს ამ პატიოსანმა კაცებმა, რომელთა-თვისაც არ იყო სასარგებლო მთის გაანაწილება, რადგანაც გაუყოფლობისა გამო უფრო ბევრნაირ სოსხარს ეპოულობენ ხალხს ყველფისას.

ნუ თუ არ მოიპოება წამალი, რომ ამაე ეშველოს ამ უდანაშაულოდ დაჯილ ხალხს! განა არ შეიძლება, რომ მთა გაიყოს და მისი სარგებლობა ისეთს წესსა და რიგზედ მოეწყოს, რომ მთა არ გაფუჭდეს? ეს ყველაფერი შეიძლება, მაგრამ კაცი უნდა. ნუ თუ ის მოხელენი, რომელნიც თავის სამსახურის გამო ახლოსა სდგანან გლეხების ინტერესებზედ, არ უნდა მოჰხმარებოდნენ სამოელოებს და სხვებს ესოდენს დიდს საქმეში. ხშირად მინახავს და ბევრგანაც დავსწრებივარ, რომ ბ-ნნი მომრიგებელნი შუა კაცნი დღეობით და კვირობით ჩასჩიჩინებენ გლეხებს, სანადელო მიწა შეისყიდეთო, ისეთი სანადელო, რომლის ფასი ხანდისხან არ აღემატება 150 მან. და იქ-კი, სადაც გლეხი ათასისა და ათი ათასის მანათის საქმეში სტოპავს, განზე სდგანან და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, თითქო მათი ვალდებულება მარტო საკანცელარიო მიწერ-მოწერით განისაზღვრებოდეს და სხვა არაფერი მოეთხოვებოდეთ.

ამ გლეხების უბედურება კიდევ ის არის, რომ მზრუნველად ხანდისხან იმისთანა კაცებს აყენებენ, რომელთაც თავის მამულისთვისაც ვერ მოუვლიათ და ცოცხალის კალმახივით ხელიდგან განძვრებათ ამა ამისთანა კაცებმა რომ რაიმე ბოროტ-მოქმედება ჩაიდინოს და მამული დაეზიანოს, რითი უზღოს პატრონთ ნაზარალევი, როდესაც არა გააჩნიათ-რა?.

დ. სენაკი. ექვს მარტს სენაკის მაზრის მცხოვრებნი საუკუნოდ გამოეთხოვენ უეცრად გარდაცვლილს თავის მაზრის უფროსს გიორგი გურგენის ძეს ბებურიშვილს. განსვენებული 16 წელიწადს მსახურობდა ამ თანამდებობაში და ამ ხანგრძლივი სასამსახურის დროს ყველასგან დიდი პატივის ცემა და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. ამ ხნის განმავლობაში თუ სახეირო და საკეთილო რამ დაწყებულა საზოგადოდ სენაკის მაზრაში და კერძოდ ახალსენაკში, მოთავედ უთუოდ განსვენებული ყოფილა. მისი მზრუნველობით დაარსდა ჩვენს დაბაში ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი; მის ხელში დაიბადა და მკვიდრად ფეხი მოიკიდა დედათა სკოლამ; დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე განსვენებულს ამავე დაბაში უფასო სამკითხველოს და წიგნთ-საცავის დაარსებაზე, მაგრამ უწყალო სიკვდილმა აღარ დაალცა ეს საშვილისშვილო საქმე მკვიდრ ნიადაგზე დაეყენებინა. სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მატიანეშიაც დაუფიქსაირ იქნება გიორგი ბებურიშვილის სახელი: როგორც ზემოხსენებულის სკოლის ინსპექტორმა, ბ. ყიფიანმა, მოიხსენა მის მიერ წარმოთქმულ გრძნობით სავსე სიტყვაში. განსვენებული კარ-და-კარ დაჰყვებოდა მას და ორ-ორ გროშობით ჭარეფდა შენობის ასაგებად შესაწევარს ძველ-სენაკში სათავად-აზნაურო სასწავლებელთან განრხახულის აგრონომიულის განყოფილებისათვის.

ასეთი მოამგე, მხნე მაზრის უფროსის დაკარგვამ დიდად შეაწუხა საზოგადოება. 6 მარტს, გამოსვენების დღეს, მთელი მაზრის ყოველ კუთხიდან ბლომად მოაწყდა თავად-აზნაურობა და გლეხობა განსვენებულის სადგომს. არა ვგონებ, ასეთი დიდებული გასვენება ვისმე ახსოვდეს ახალ-სენაკს ამ 10—15 წლის განმავლობაში. მიუხედავად ცუდი დარისა განსვენებულის სადგომის ეზო და მის წინ საკმაოდ ფართო ქუჩა გაჭედილი იყო ქალი-და-კაცით. დილის 10 საათზედ, წესის აგების შემდეგ, მიცვალებული სადგომიდან გამოიტანეს. აქ იმას დაუხვდა ნორმალურ სასწავლებლის მოწაფეთაგან შემდგარი ორკესტრი. აქვე მიეგებენ სენაკის მაზრის სხვა-და-სხვა კუთხეთაგან მოგზავნილი დეპუტაციები გვირგვინებით. მცირე ხანს კუბო დასვენეს და გვირგვინი დაადო სენაკის მაზრის მარშალმა თავ. ი. ე. დადიანმა — თავად-აზნაურთაგან და სხვებმა. ბალდახინს ამშვენებდა შემდეგი გვირგვინები: ახალ-სენაკის ვაჭართაგან, სენაკის მაზრის სახალხო სკოლებისაგან, ახალ-სენაკის დედათა სკოლის მოწაფეთაგან, ახალი-სენაკის მანდილოსან-დაგან, ამაშის ვაჭართაგან და ქუთაისიდან თვ. მიხ. მელ. დადიანისაგან და სხვანი.

ბ. ყიფიანის შემდეგ ჩვენი ყურადღება მიიქცია ახნ. გ. გამსახურდიას სიტყვამ, რომელმაც საკმაოდ ნათლად დახატა მაყურებელთა წინაშე განსვენებულის მოღვაწეობა. ამას შემდეგ დაიძრა საგლოვიარო კორტეჟი რკინის გზის სადგურისაკენ.

ი. ნ—შვილი

ᲥᲘᲖᲘᲣᲚᲘ (სიღ. მაზ.), 8-ს მარტს. წელს ჩვენში ზამთარი ძლიერ ნაკლები იყო, მცირე თოვლიანი. კვლავ-ვინდებურად ხანგრძლივად ვეღარ მოიკიდა ბარაქა თოვლმა. აგერ მარტის რვაა და თოვლის ხსენება თითქმის აღარსად არის. აქა-იქ მთებზედ თოვლა დარჩენილა ცოტ-ცოტა, თორემ ბარად და მინდვრად, კარგა ხანია, რაც უკვე აიღო და აიბარგა. ამასთანავე კარგა ხანია, რაც მეტად თბილი დღეები დაიჭირა და ისეთი თბილი ამინდებია, თუმცა ერთის მხრით სასიამოვნოა, მაგრამ ღმერთმა დაიფაროს, თუ ასე დიდხანს გასტანა. უდროვო დროს ხომ მოგეხსენებათ, არა ვარგა-რა. მარტისაგან ბევრი რამ ავია მოსალოდნელი. შეუძლიან ყოველი მცენარე და მიწის მოსავალი ასე უდროვოდ გამოიტყუოს და ბოლოს-კი ქარაშხლიან სიცივეებით დაეჭყლს და დასძროს, რაიცა ჩვენში ასე ხშირად იცის.

ამ ჟამად ჩვენს ხალხს ყველაზედ მეტად ის აწუხებს, რომ მათ, კარგა ხანია, რაც კვლავინდებურად მიწის მოსავალი ხელს აღარ აძლევს. უმრავლესთ იმდენი სარჩოც-კი აღარ მოსდით, რომ წლითი-წლამდე თავიანთი ცოლ-შვილი გამოჰკვებონ და სასყიდელი და სავალებელი აღარა გაუხდეთ-რა თავიანთის მახრჩობელი ჩარჩებისაგან. ამისთანა ყოფაში გადასახადები აჭირვებს კიდევ საქმეს. ეს არის მიზეზი, რომ დღითი-დღე ხალხს ვალი უფრო ემატება და ჰბღარტყბს- შეღავათისა და შემწეობის გზა-კი არსაიდგან არ უჩანს. ერთი და ერთი ვალში ჩაცვივნილ ხალხის მდგომარეობა უფრო და უფრო უკუღმა მიდის.

ხშირად ხალხი თავის საპირო წლის სარჩო ჭირნახულს ახლობაშივე ნასამედ ფასად ჩარჩებს მიჰყიდის ხოლმე და ბოლოს-კი თვითონვე ერთი-ათად ძვირად და მამა სისხლად ჰყიდულობს და ივალებს ხოლმე მათგანვე. აი სწორედ შარშან და წელსაც ასე მოუხდათ ბეჩავებს. ან-კი როგორ გაამტყუნებთ ასეთ წინ დაუხედაობისათვის, თუ რომ „შინ რა ბაღელი გიტიროდეს, გარეგ ტაბლას რა ხელი აქვს“ პასუხად გეტყვიან: „როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო“. როდესაც ფოსტის ფულისთვის და ან სხვა გადასახადებისათვის ქვაბსა და ზედადგრებს წაატანენ ხელს ნასამედ ფასად გასასყიდად, მაშინ ყველა იძულებულია რაც საცალოში ან გოდრებში სარჩო აქვს, გაიტანონ და მიჰყიდონ წურბელა ჩარჩებს ნასამედ ფასად, თუმცა ესეც აშკარად იცის რომ რამდენისამე ხნის შემდეგ თვითონვე ერთი ხუთად და ათად ძვირად უნდა იყიდოს იგივე.

არა ნაკლებ აწუხებს და ხელს უშლის ხალხს ის გარემოებაც, რომ დღევანდლამდის ჯერაც მამულ-დედულის გამო დავა-დარაბაა გამართული. უმეტესი ნაწილი მამულებისა ჩვენში ჯერაც გაუყოფელი და გაუმიჯნავია და სადავა-დარაბოდ გამხდარი აქვს თავადს, აზნაურს და გლეხს. თავისუფალი არც ტყე აქვთ, არც საძოვრები და არც სახნავი, არც ვენახები და არც სხვა. ჩვენის მაზრის მებატონეები და დროებით ვალდებულნი გლეხნი ხომ ისე ისე მიუშველებელნი არიან მომეტებულ ნაწილად და იმათაც არ იქნა და არა ეშველათ-რა.

სამწუხაროდ აქვთ აგრედვე ის, რომ წლეევანდელის ღვინოების ასეთი უმაზნელობა და უმუშტრობაა. როგორც ახალში ჰქონდათ მაზანდა, ეხლაც იმაზედ მეტად არა ფასობს, მეტ ვინლა სჩივის, ნეტავი იმ ფასად მაინც იყიდებოდეს, ე. ი. სპალნე 60 მანათიდგან 100 მანათამდე. ბევრს უდგა სავსე ღვინით ქვევრები, ჯერაც გაუსყიდავი, და შეჰყურებს საცოდავად.

ᲨᲐᲥᲠᲝ ი. ვ—ძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

კავკავის ქალაქის საბჭომ ამას წინად გარდასწყვიტა, რომ ნოქრებს ნება მიეცეთ კვირა დღეობით უქმობისა და კვირა-დღესასწაულს დღეს აღიკრძალოს ვაჭრობა. ამის შემდეგ ქალაქის მოურავს ერთი წერილი მისვლია რუსულს ენაზედ დაწერილი, რომელიც ფრიად საყურადღებოა ჯერ იმ მხრივ, თუ რა თვალით უყურებენ მაღაზიის პატრონები თავის მოსამსახურეთა დასვენებას და მერე თავისის მართალ-წერის სიმშვენიერით. მოგვაყავს ეს წერილი რუსულადვე, რომელიც „Терск. Вѣдомости“-შია დაბეჭდილი:

Его Превосходительству Градцкому Головѣ Гор.: Владикавказа. Крайне меня вынудило, писать Вашему Превосходительству какъ Хозяину и Головѣ Города. Мною прочитано въ № 18-мъ Терскихъ Вѣдомостей, Опостановленій думою Опразнечномъ Отдохи для прикащековъ. меня краиню прискорбно удивляетъ что постановлять и утверждать такія прозбы, для какихъ то 10-ти жарлатоновъ которой называютъ себѣ прикащеками. Крайно легкомысленно состоронъ Городцкой думы. Дать свободу кокимто мальчишкамъ, для препровожденія въ ремѣнки, въ развратнихъ публичныхъ и въ пьяныхъ заведеніяхъ и проматовать свою трудовую и также и Хозяискую кипеику! Это не есть доброе дѣло Гороцкихъ хозяйвъ, у твѣрждать подобной проэкты, для тогого что бы, 10-тъ лехко нравственнымъ прикащекамъ здѣлать свободу; а 500-ти Цозяевымъ стеснить иху торговлю и отнять послѣдней кусокъ трудоваго хлѣба, у бѣдныхъ да ѣѣ.

И т. д. въ такомъ же родѣ. Подписано это письмо такъ:

Остаюсь покорной обыватель изъ погибщихъ хозяйевъ.

აი, ასე აზროვნობენ, ასე სწერენ კავკაველი ვაჭრები.

რუსეთი

ჩელიამინის მაზრის დაბა მალიშევსკში ამას წინად ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა. ერთის ოჯახიდგან ყაზახი უნდა გაეყვანათ ჯარში, რაც ოჯახს დიდს ხარჯს აძლევდა: ცხენი უნდა ეყიდნათ იმისათვის, ცხენის მოსართავი და სხვ. ამ მიზეზით ჯარში გასაყვანის ძმამ მოჰკლა თურმე იგი იმ იმედით, რომ ჯარში ველარ გავა, ცხენი ოჯახშივე დარჩება და ოჯახის მოწყობილებაც, რომელიც უნდა გაგვეყიდნა იმის გამო, ხელ-უხლებელი იქნებაო. როდესაც ძმა მოჰკლა, დიდხანს ატარა თურმე მოკლული ტყეში, არ იცოდა სად გადაეგდო და ბოლოს პოლტავევის წისქვილის ახლო დასტოვა.

უცხოეთი

ᲑᲔᲠᲒᲐᲜᲘᲐ. პარლამენტი სცდილობს დაამოლოვოს საქმე. უკანასკნელი საგანი, მისდა გარდასწყვეტად წარდგენილი, ის არის, რომ განსვენებულ იმპერატორის ვილჰელმ I-ი სძეგლის ასაგებად რვა მილიონი გადაიდოსო. პარლამენტში ამ საგანს ბევრი წინააღმდეგი გამოუჩნდა და ბოლოს გამოითქვა ის აზრი, რომ ნახევარი იქმნას გადადებული მაგ ფულისაო, ე. ი. ოთხი მილიონი. რიხტერმა განაცხადა: თავისუფალნი მოახრენი დათანხმდებიან მაგ საგნისათვის ოთხის მილიონის გადადებას, თუ მთავრობა შემდეგ კიდევ არ მოითხოვს დამატებას და მარტო იმ ფულს იკმარებს, რომელსაც პარლამენტი აძლევს ერის სახელობითაო. ჩვენ არ გვინდა, რომ მამულისშვილურის დროშით ფრთები გაჰშალოს ლატარიებმა და სხვა-და-სხვა ამ გვარმა არა სასურველმა საქმემ, ხალხს ჯიბის დასაცალიერებლად მოგონილმა. უფრო დიდად ეწინააღმდეგებიდნენ ძეკლისათვის ფულის გადადებაა სოციალ-დემოკრატები. ისინი გაიძახიან, ჩვენ არასოდეს არ დავთანხმდებით, რომ ფული იქმნას გადადებული გერმანიის შემაერთებელის ძეგლის ასაგებადაო. ბებელმა, ამ დასის მეთაურმა, პირდაპირ განაცხადა პარლამენტში, რომ ყოველმა მუშა-კაცმა ჩვენის დასისამ კარგად იცის, რა არის დასი სოციალ-დემოკრატთა და არც არასოდეს დაავიწყდება, რომ იმპერატორ ვილჰელმ I-ის მეფობის ათის წლის განმავლობაში ჩვენ წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონი არსებობდა და დიდად ვიყავით შევიწროებულნი. ხანგრძლივ კამათის შემდეგ პარლამენტმა დიდ-ს ხმის უმეტესობით დაადგინა, რომ განსვენებულ იმპერატორის ძეგლისათვის, თანახმად გრაფ ლიმბურგის წინადადებისა, რვის მაგიერ, ოთხი მილიონი გადაიდოსო.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲗᲘᲗᲘ. ამას წინად დეპუტატთა პალატის ვიცე-პრეზიდენტმა

ეტიენმა ლიონში წარმოსთქვა საპოლიტიკო სიტყვა, რომლის დასასრულსაც აღნიშნა, რესპუბლიკამ რაც მოუტანა საფრანგეთისაო. „ჩვენი სამშობლო, სთქვა თურმე ეტიენმა: ამ ჟამად მთელის ევროპის ბანკირია: რუსეთის ბანკირია $4^1/_2$ მილიარდისა, იტალიისა $2^1/_2$ მილიარდ., ისპანიისთვის თითქმის ამდენისამე, პორტუგალიისა, რომელიც ეს არის ეხლა გაკოტრდა, 500 მილიონ ფრანკისა. ამას გარდა, რუსეთში ქედ-მოხდილნი ისმენენ მარსელიეზას, ხოლო შამპანიაში, მთელის ევროპის გასაცინარად, აღლუმები აქვს საფრანგეთის ჯარს, რომელიც ასოცია ათასის სულისაგან შესდგება. აი ეს მოიტანა რესპუბლიკის ოცის წლის ბრძნულმა და დაუღალავმა შრომამაო“.

სასამართლოს მატიანე

პირველ მარტს პრაგაში სასამართლომ დაიწყო გარჩევა შურის-ძიებით რუდოლფ მრვის, «ტოსკანელი რიგოლეტად» წოდებულის, მოკვლისა. მრვა პირველი მოწმე იყო, როდესაც ომლანდინისტების საქმე იჩრიდოდა სასამართლოში, ამ ჩეხთა საპოლიტიკო დასისა. ამ საქმეზედ ექსაკაცია ბრალდებული, ამათში ოსტაკარ დოლეცალს, 18 წლისას, და ფრანც დრაგუნს 18 წლისას ჰბრალდებოდათ პირდაპირ მრვას მოკვლა, ბანარჩენი-კი. და მათ შორის ანტონ ციეკეკაც, მლადოჩეთა კლუბის მდივნად ნამყოფს, ის დანაშაული ჰბრალდებოდათ, რომ წამქეზებლად ყოფილიყვნენ, სახელმწიფოს მოღალატენი, საიდუმლო საზოგადოებათა წევრნი და სხ.

რუდოლფ მრვა (ხელოვნით მეხელთათმანეა) მოწმედ იყო სასამართლოში ომლიდინის საქმისა გამო. მას შემდეგ ეშნოდა თურმე შურისძიებისა და შინიდგან კარში აღარ გამოდიოდა ყოველთვის კარ-ჩაკეტილში იყო. იმასთან დადიოდნენ მხოლოდ ისინი, რომელნიც იმას პირადად იცნობდნენ, და მათ შორის დოლეცალი და დრაგუნიცა. კათოლიკეთა ქრისტეს შობის დღესასწაულის დღეს მრვას დეიდა, ქ-ნი კერაუში მისული იმასთან, საღამოს 7 საათზედ, და სახლი დაეტოვილი დახვედრია. როცა გაუღიათ, მრვა მკვდარი უპოვნიათ. მისი სხეული ჯერ ისევ თბილი იყო თურმე და იმის გვერდით მთელი გუბე იდგა სისხლისა.

ეჭვი მიიტანეს დოლეცალსა და დრაგუნზედ, რომელნიც გამოტყდნენ, რომ კენჭის ყრით ამხანაგებმა ჩვენ გვარგუნეს იმისი მოკვლა «ომლადინის» ღალატისათვისაო. ასე დღის ორი საათი იქნებოდა, როცა იმასთან მივედით. დავურაკუნეთ, გვიცნო და კარი გაგვიღო. ორი საათის განმავლობაში ერთად ქაღალდსა ვთამაშობდით. ასე ხუთი საათი იქნებოდა, რომ მრვამ დაიწყო გალობა ხორავატულის სიმღერისა, რომელშიაც გამოთქმულია ის, თუ რა ბედი მოელოთ მოღალატეებს. ამ სიმღერამ უფრო აგვიღელვა, დრაგუნი ეეცარად ეძგერა ყელში და დაუწყო რჩობა. ორივემ დაიწყეს ბრძოლა, დაეცნენ იატაკზედ და ამ დროს დრაგუნმა ამოიღო დანა და გულში ჩაჰკრა. როდესაც დარწმუნდნენ, რომ მრვა მკვდარიაო, ამოიღეს დანა, გავიდნენ კრიეთან, დანა-კი მოლდავაში გადავგდეთო. კრიეთან ვიყავით იმ ღამეს, სადაც მეორე დღეს დაგვაპატიმრეს კიდეც.

ციხეში დაპატიმრებულთ ორი წერილი უპოვნეს დრაგუნისაგან დოლეცალთან მიწერილი, რომელშიაც იგი სწერს, რომ ფრიე არ გასცეს, შეიბრალეს მისი ოჯახი, რადგან სრულწლოვანია და სასტიკად დასჯიან, შეიძლება საცოცხლესაც კი გამოასალმონო. საზოგადოდ იმისთანა ნურას იტყვი, რაც ჩრდილს მიაყენებს „ომლადინასაო“

წერილები რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო!.

უმორჩილესად გთხოეთ, ნება მომეცეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვცხადო შემდეგი:

ბ. უშანგ ყარანგოზიშვილმა მიმართა «ნოეკ ობოზრეზეის» რედაქტორს წერილით, სადაც იგი შესახებ ბ. ოსიფ ლანის ხელთ-ნაწერებისა ლაპარაკობს ისე, თითქოს ისინი დაკარგულიყვნენ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის წიგნთ-საცავიდგან; ეს სიმართლეს მოკლებულია. ბატონ ეგენიშვილმა ბ. ოსიფ ლანის ქერეიმა შემოსწირა თავის განსეენებულის ქმრის ბიბლიოთეკა ტფილისის სათავად-აზნურო სკოლის ბიბლიოთეკასა. ეს ბიბლიოთეკა ბ. ოსიფ ლანის ქერეიმა შემოსწირა ინსპექტორობის დროს. მე თითონ, ზოგიერთ სკოლის მასწავლებლების დახმარებათ, გადავათვალიერე ეს ბიბლიოთეკა, ბევრ ბიბლიოთეკა ბ. ოსიფ ლანის ქერეიმა, ბ. ოსიფ ლანის ბიბლიოთეკა, ბ. ოსიფ ლანის ბიბლიოთეკა, ბ. ოსიფ ლანის ბიბლიოთეკ